ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №208330

ნომერი: AR150860

თარიღი : 15.05.2012

გაცემის თარიღი : 11.06.2012

გაცნობის თარიღი : 16.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 116 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი გიორგაძე პ/ნ 01012009469
- თბილისი კახეთის გზატ. კორ. 36"ვ" ბ. 66

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზ. N116–ში (ძეგლი) არსებულ შენობასთან, სარეკლამო მაკეტის განთავსებას.

გაცნობებთ, რომ საკითხი განხილულ იქნა გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოზე (ოქმი N21, 22.05.12წ), რომლის დასკვნის საფუძველზე საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური არ არის წინააღმდეგი თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განხორციელდეს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge